41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო მარტვილელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი მარტვილის მერობის კანდიდატისა და მარტვილის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს მარტვილის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს მარტვილი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ მარტვილის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 4,7 მლნ იყო, 2021 წლის გეგმის მიხედვით 7,9 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 10,2 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გეგმის მიხედვით, გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 15 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

მარტვილის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 1 439 635 ლარი, თანამონაწილეობა 781 864 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 1 პროექტი (29 608 ლარი, თანამონაწილეობა 11 843 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 93 ჰექტარზე განხორციელდა 89 პროექტი (ჯამურად 2 412 959 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 143 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 655 593 ლარი), რითაც 336-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 2 108 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 15 კოოპერატივი (217 მეპაიე, კაპიტალი 1 090 250 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** 2016-2021 წლებში, რეაბილიტირებულია 35 ჰექტარი (ჯამურად 87 000 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 13 169 468 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 2 034 323 ლარი), რითაც 168-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 6 პროექტი ჯამურად 175 062 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 70 025 ლარი). 2019 წელს ამოქმედებული **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით,** შესყიდულია 11 000 ლარის ტექნიკა (5 500 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს 2 ახალი პროგრამა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** დღემდე 1 პროექტი განხორციელდა (ინვესტიცია 29 850 ლარი), ხოლო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით 3** პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 86 891 ლარი, თანადაფინანსება 63 836 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 106 654 ლარი დაიხარჯა, შედეგად დაშრობილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 80 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **მარტვილის მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 7 200 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 13 620 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“ სასტუმროს კომპონენტში,** მარტვილში დაფინანსდა 1 სასტუმროს მშენებლობა (ჯამურად 700 000 ლარი, დასაქმებულია 3 ადამიანი, მუნიციპალიტეტს სასტუმროს 14 ახალი ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 420 688 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 551 610 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 52 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 35, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 17 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში,** აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მილიონი კვტ/ სთ.

მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:

- ხობი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი;
- ნაკრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი;
- ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯაღონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი;
- დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი;
- წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი;
- ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 11,9 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი;
- ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე

კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში ლებერულავე-სანაჭყებიო-დობერაზენის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დოლარი;

- ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი;
- დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, 388 მლნ აშშ დოლარი;
- ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია 9 026 აბონენტი.** ხელისუფლება, 2022-2023 წლებში გეგმავს 9 სოფლის (გაჭედილი, ტალერი, ეწერი, სკურდი, პატარა თამაკონი, ნობულევი, პირველი ბალდა, მეორე ბალდა, მესამე ბალდა) გაზიფიცირებას (დამატებით 1162 აბონენტი). 2013-2017 წლებში, **4 524** აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს, მარტვილში ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2013-2020 წლებში, **მარტვილში განხორციელდა რამდენიმე ახალი და მნიშვნელობანი პროექტი:** 2012-2014 წლებში აშენდა ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრი და ტურისტული ინფრასტრუქტურა (4,5 მლნ ლარი, ხონის მუნიციპალიტეტი სოფ. გორდი); 2015-2016 წლებში აშენდა მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრი და ტურისტული ინფრასტრუქტურა (1,2 მლნ ლარი, სოფ. ინჩხური); პროექტით „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგი „ღვინო და კულინარია“ ადგილობრივი გიდებისთვის.

მარტვილში 15 მნიშვნელოვანი ტურისტული ლოკაციაა: მარტვილის კანიონი, გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ეთნოგრაფიული კუთხე ღია ცის ქვეშ; სოფელი გაჭედილი, მოთენას მღვიმე – ისტორიული მღვიმე, ტბა, საბანაო ადგილები; ჩანჩქერი „ჟუჟღი“ – ჩანჩქერი ხავსიან კლდეზე. მდინარე აბაშის ხეობა, ბზის ტყე; „ონიორე“ – ჩანჩქერი მდ. აბაშაზე, მდინარე აბაშის სათავე, კარვების გასაშლელი ადგილი; „ტობის“ მღვიმე (სოფ. ბალდა) – 234 მ „ტობის“ ჩანჩქერი, ტბები, დარბაზები; სოფელი სალხინო – ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია XVIII ს. დადიანების სასახლე, ისტორიული მარანი; სოფ. ხუნწში „ქუქითის გორაზე“ არსებულ ნაგებობების ნაშთები (ჩვ.წ აღ. IV-V ს.ს. მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი) და სხვა.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დაგეგმილია: კურორტ ლაბარდეს რეაბილიტაცია, საპარკინგე ადგილების მოწყობა, ტურისტული საბაზო ბანაკის მოწყობა, მატერიალური და არამატერიალური ძეგლების შესწავლა და ტურისტებისთვის საინფორმაციო წიგნად გამოცემა, საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკების მომზადება/მარკირება.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**
- **მარტვილის კანიონისა და ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლების ტერიტორიებზე მხატვრული და 3D განათება მოეწყობა (4 000 000 ლარი).**

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, მარტვილის მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 27 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 3183,2 კუბური მეტრი ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.** 2016 წლიდან მიმდინარეობს **კოლხური ბზის გადარჩენის პროგრამა,** დაზიანებული ბზის კორომების ბიოლოგიური საშუალებით დამუშავება და მავნებელთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებები. 2018 წელს წამლობა ბიოლოგიური ინსექტიციდის გამოყენებით 109 ჰა ფართობზე განხორციელდა.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

2022-2023 წლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, მარტვილში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 29 მლნ ლარამდე დაიხარჯა, აშენდა 5 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 5,1 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 51 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 7 118 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, მარტვილის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

2021-2022 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ ᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ:

- მდინარე აბაშაზე ქ. მარტვილისა და ნალეფსაოს უბნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მოწყობა – 1 598 905 ლ;
- სალხინოს ადმ. ერთეულში რეზო კეკუტიას სახლთან სახიდე გადასასვლელის მოწყობა – 415 748 ლ;
- სალხინოს ადმ. ერთეულში ზემო ვახის უბანში სახიდე გადასასვლელის მოწყობა – 429 220 ლ;
- სალხინოს ადმ. ერთეულში ვახის უბანში საავტომობილო გზის ც/ბეტონის საფარით მოწყობა – 1 022 448 ლ;
- კურზუს ადმ. ერთეულის ლებერულავე-სანაჭყებიო-დობერაზენის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ც/ბეტონის საფარით მოწყობა – 1 335 749 ლ;
- ბაძაღუას ქუჩის №2 ჩიხის საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 270 409 ლ;
- მშვიდობისა და ჭყონდიდელის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 19 964 ლ;
- საელიაოს უბანში ცენტრალური გზის მიმართულებით საავტომობილო გზის მოწყობა – 66 122 ლ;
- ნახარებაოს უბანში, ჭყონდიდელის ჩიხში, ხარებას სახელობის ეკლესიასთან საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა– 179 835 ლ;
- თ. წოწორიას ქ. და თამარ მეფის ქ. დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 551 700 ლ;
- ნაგვაზაოს ადმ. ერთეულში სილაგავების უბნისა და ქ. მარტვილის ნახარებაოს (გვალიების უბნის) დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 470 542 ლ;
- გაჭედილის ადმ. ერთეულის სკურდის უბანში საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 618 798 ლ;
- ჩიქვანაიას ქუჩიდან ძაძამიას ქუჩის გავლით, საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 1 134 391 ლ;
- სოფ. ბანძა-ონოღიის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 661 788 ლ;
- ბალდის უბანში მამათა მონასტრიდან კაღუს ჩანჩქერამდე გზის ბეტონის საფარით მოწყობა – 565 342 ლ;
- ნოღის ციხემდე მისასვლელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობ – 650 561 ლ;
- ტალერის ადმ. ერთეულში, ჯიჯელავების უბანში, მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს და ტალერი ლებარდეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 209 744 ლ;
- პატარა თამაკონის უბანში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა – 258 609 ლ;
- პატარა თამაკონის უბანში გიზო წულაიას ქუჩაზე საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა – 69 872 ლ;
- მარტვილის ქუჩაზე სასაფლაოსთან ასასვლელი გზის ც/ბეტონის საფარით – 74 595 ლ.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ: „ᲓᲐᲕᲓᲒᲔᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ!“

ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲙᲘ, ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐ.

ᲗᲐᲛᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲥᲐᲛᲓᲔᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲡ, ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲡ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲔᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ, ᲡᲐᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝ ᲬᲠᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ – ᲔᲪᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲗ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲪ ᲬᲐᲛᲝᲘᲬᲧᲝᲡ.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ, ᲗᲐᲛᲐᲙᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲕᲘᲛᲮᲔᲚᲡ:

დაიბადა 1980 წლის 6 ივლისს, წალენჯიხაში.

1997 წელს დაამთავრა მარტვილის მეორე ნამიკოლაოს საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

2003-2017 წლებში კერძო სექტორში საქმიანობდა. 2017 წლიდან დღემდე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სოფელ თამაკონის მაჟორიტარი დეპუტატის, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

– მარტვილის მუნიციპალიტეტსა და სოფელ თამაკონს, მთელი ჩემი ცხოვრება უკავშირდება. ბავშვობაც აქ გავატარე, სკოლაც აქ დავამთავრე და დღემდე აქ ვცხოვრობ. დედა ზეინაბ ჯანაშია, პროფესიით პედაგოგი, ფილოლოგი და დღეს პენსიონერია. მამა მეტყევე-ინჟინერი იყო და წლების განმავლობაში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, უმეტესად კი მარტვილში, სატყეო მეურნეობის დირექტორი გახლდათ. სამწუხაროდ, მამა გარდაიცვალა, რაც ჩემი ოჯახის დიდი ტრაგედიაა. მყავს 13 წლით უფროსი და დოდო ჯანაშია, რომელიც მარტვილშია გათხოვილი და 15 წლით უფროსი ძმა – გოჩა ჯანაშია. ნაბოლარა რადგან ვარ, ზოგს ჰგონია მანებივრებდნენ, არადა ასე ჩემი დედმამიშვილები უფრო გაიზარდნენ – ჩემ ბავშვობას ცუდი პერიოდი, არეულობა დაემთხვა. მიუხედავად ამისა, ლაღი ბავშვობა გვქონდა. ჩვენი მთავარი გასართობი თამაში, მდინარეში ცურვა და წიგნი იყო. ხშირად ლამფის შუქზე ვსწავლობდი და ვკითხულობდით, მაგრამ დღეს ესეც ტკბილად მახსენდება. კითხვა დედამ შემაყვარა. ბეჯითი მოსწავლე ვიყავი. დედა ჩემ სკოლაში ასწავლიდა და სიმართლე გითხრათ, ცოტა დისკომფორტსაც მიქმნიდა პედაგოგის შვილი რომ ვიყავი – მეტი პასუხისმგებლობა მქონდა. მამა საკმაოდ მკაცრი იყო და მოითხოვდა, კარგად გვესწავლა. მისი დიდი რიდი მქონდა და მოთხოვნას ყოველთვის ვასრულებდი. თუმცა, სხვა რამეც ახდენდა ჩემზე გავლენას – ძალიან კარგი კლასელები მყავდა, ყველა კარგად სწავლობდა და ეს, რაღაცნაირად, გადამდები იყო.

– ტექნიკური მიმართულებით რატომ წახვედით და ინჟინერ-მექანიკოსობა რატომ გადაწყვიტეთ?

– იმიტომ, რომ ხაზვა და ტექნიკური საგნებიც ძალიან მაინტერესებდა. ტექნიკურ უნივერსიტეტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ჩავაბარე. თბილისში სტუდენტობამ 2000-იანი წლების დასაწყისში მომიწია. საინტერესო და კარგი წლები იყო. იყო გაჭირვებაც, რომელ სტუდენტს ყოფნის მშობლის მიცემული ფული, მაგრამ დღეს ესეც კარგად მახსენდება. კლასელებთან და კურსელებთან დღეს ხშირი შეხვედრები არ მაქვს, ყველა დაკავებულია, ყველას თავისი საქმე აქვს, მაგრამ ვცდილობთ, სოციალურ ქსელში მიმოწერა ხშირად გვქონდეს და ერთმანეთი არ დავკარგოთ.

– პოლიტიკაში კერძო სექტორიდან მოხვედით. ბიზნესსაქმიანობა როდის დაიწყეთ?

– 2003 წლიდან, ძირითადად ხე-ტყის ბიზნესით, რომელიც შემდეგ საოჯახო ბიზნესად იქცა. თავიდან მამა ანერვიულდა, მიმეორებდა – ხე არ უნდა მოჭრაო და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა დარწმუნდა, ყველაფერს კანონიერად, წესების დაცვით ვაკეთებდით. ბიზნესში 2017 წლამდე ვიყავი, ვიდრე თამაკონის თემის მოსახლეობამ საკრებულოში მაჟორიტარად არ ამირჩია.

– კერძო სექტორში ორი ხელისუფლების პერიოდში იყავით. რა შეიცვალა ამ მიმართულებთ „ქართული ოცნების პირობებში და როგორი ბიზნესგარემოა დღეს ქვეყანაში?

– წინა ხელისუფლების პირობებში, ბიზნესის კეთება არ იყო მარტივი. პირიქით, ყველას კარგად ახსოვს, როგორ პირობებში უწევდათ ადამიანებს საქმის კეთება. ხელისუფლება ზეწოლას ახდენდა მეწარმეებზე. დღეს, ბიზნესგარემო არის ძალიან კარგი. თუ სწორად, კანონის დაცვით საქმიანობ, ზედმეტად არავინ გეხება.

– ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ?

– არა მხოლოდ... „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკაში მოსვლის დღიდან სწორი გეზი აირჩია. გზა დასავლეთისკენ, რაც ჩემთვის არის უმნიშვნელოვანესი. გარდა ამისა, ამ პოლიტიკური გუნდისთვის მთავარი ღირებულება ადამიანი, მისი უფლებების დაცვა, სიტყვის თავისუფლებაა. სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ დააყენა ქვეყანა განვითარების გზაზე. ეს ყველაფერი ერთად, არის მიზეზი, რის გამოც თავის დროზე გადაწყვეტილება მივიღე – ბიზნესი სამართავად ძმას გადავეცი და „ქართული ოცნების“ რიგებს შემოვუერთდი.

– საკრებულოში თქვენი საქმიანობა ეფექტური თუ იყო და მაჟორიტარმა თამაკონის მოსახლეობისთვის რა გააკეთეთ?

– საკრებულოში ვარ მაჟორიტარი დეპუტატი და პარალელურად, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ჩემი აქტიურობით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელეთ. მაგალითად, ორი სოფლის დამაკავშირებელი – დიდი ჭყონი-მეორე ნამიკოლაოს გზა. გარდა ამისა, ჩატარდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები, ხიდების შეკეთება. თამაკონში გაიხსნა საბავშვო ბაღი, რომელიც არის მაქსიმალურად კეთილმოწყობილი. ასეთი ბაღი თამაკონში არასდროს ყოფილა. სამწუხაროდ, პანდემიამ შეაფერხა და ჯერ ვერ განვახორციელეთ ჩემი ინიციატივა დიდი ჭყონი-ნაფოსტარი-პირველი ნამიკოლაოს გზის რეაბილიტაცია-მშენებლობა. იმედია, 2022 წელს შევძლებთ ამ პროექტის განხორციელებას. ვცდილობთ, მაქსიმალურად ვიყოთ ხალხის სამსახურში და რაც შეგვეძლება, ხელი გავუმართოთ.

– ხალხის სამსახურში ყოფნა, გამარჯვების შემთხვევაში, ისევ მოგიწევთ. რა გეგმები გაქვთ მარტვილის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– მთავარი გეგმა ის არის, რომ ბიუჯეტი, რომელიც არის მარტვილში და რომელიც ყოველწლიურად გამოიყოფა, მიზნობრივად გაიხარჯოს. პრიორიტეტები სწორად უნდა გავთვალოთ და თანხა ყველა სოფელს თანაბრად უნდა მოხმარდეს – არც ერთი სოფელი არ უნდა დაიჩაგროს. ყველგან თანაბრად უნდა იყოს ამბულატორიები, საბავშვო ბაღები, სკოლები, გასართობი ცენტრები, მოედნები, გზა, წყალი, ბუნებრივი აირი. ყველგან უნდა შევქმნათ ცხოვრების კარგი პირობები, რომ ადამიანებს არ გაუჩნდეთ სოფლიდან წასვლის სურვილი. მოსავლიანი მიწაა მარტვილში, საკმაოდ დიდი მიწებია დაუმუშავებელი, რომელსაც ათვისება ჭირდება და აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობაა მნიშვნელოვანი. ასევე, მნიშვნელოვანია ინვესტორების მოზიდვა, რომლებიც გახსნიან სხვადასხვა საწარმოს და მუნიციპალიტეტი გაძლიერდება.

– წარსულში ბიზნესსაქმიანობის გამო, ალბათ, ბევრ ბიზნესმენს იცნობთ. მარტვილში საქმიანობით დაინტერესებულები არიან?

– დიახ, ჩემი წარსული საქმიანობიდან გამომდინარე, ძალიან ბევრ ბიზნესმენს ვიცნობ და დღემდე მაქვს მათთან ურთიერთობა. ისინი დაინტერესებულები არიან და აქვთ მზაობა, ჩამოვიდნენ მარტვილში, ინვესტიცია განახორციელონ და სხვადასხვა მიმართულებით დაიწყონ საქმიანობა.

თუ მარტვილის მოსახლეობა ამირჩევს, ფაქტობრივად, მე ვიქნები ამ ბიზნესმენების ბიზნესომბუდსმენიც კი, რომ სწორად წარმართონ ბიზნესი, რამე შეფერხება არ ჰქონდეთ და ამით, მუნიციპალიტეტიც განავითარონ, ადგილობრივები დაასაქმონ. ბიზნესიდან მოვდივარ და ძალიან კარგად ვიცი, ხელისუფლებისგან ოდნავ ხელშეწყობასაც კი, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს. ნამდვილად შემიძლია, ბიზნესგეგმებით და ნდობით შემოვიყვანო მარტვილში ადამიანები, რომლებიც ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ.

- პირველ რიგში მარტვილელების „ომბუდსმენი“ უნდა იყოთ. კომუნიკაბელური მერი იქნებით?

– იმდენად უშუალო და მეგობრული ვარ, რომ სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ზოგადად ადამიანები ძალიან მიყვარს. მოქალაქეებთან ურთიერთობაც არ არის ჩემთვის უცხო, მითუმეტეს, როცა ვალდებულება გაქვს ადამიანების მიმართ, მაქსიმალურად ხშირი კონტაქტიც უნდა გქონდეს, მოუსმინო, სხვადასხვა საკითხის გადაჭრაში დაეხმარო. ბოლომდე დავიხარჯები ნებისმიერი ადამიანისთვის.

– ამბობთ, რომ მოქალაქეებთან საკრებულოში ყოფნის დროსაც მუდმივი კომუნიკაცია გქონდათ. ამომრჩეველი ძირითადად, რა მოთხოვნებით მოგმართავდათ?

– ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, ადგილობრივები უმეტესად სოციალური პროექტების განხორციელებას – ოპერაციების, სწავლის დაფინანსებას, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ინტერნეტიზაციას ითხოვდნენ. ყველა მათი მოთხოვნა, პრიორიტეტების მიხედვით დალაგდება და ადგილობრივებთან ერთად გადავწყვეტთ, რომელ ეტაპზე, რა გამოწვევას უნდა ვუპასუხოთ.

– მარტვილის მუნიციპალიტეტს უდიდესი ტურისტული პოტენციალი აქვს. ტურიზმის განვითარება თქვენთვის პრიორიტეტი იქნება?

– დიახ, ტურიზმი მარტვილის განვითარების პერსპექტივაა და მისი ხელშეწყობა ჩემთვის პრიორიტეტი იქნება. მარტვილს დღესაც ძალიან ბევრი ვიზიტორი ჰყავს, მაგრამ აქ ბევრი ისეთი ადგილიც არის, რომელიც აუთვისებელია და არ არის ცნობილი. პირველ რიგში ამ ადგილებზე ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს და შემდეგ, მათი პოპულარიზაციაც უნდა მოხდეს. ძალიან ბევრი ლოკაცია გვაქვს, რომლითაც, სამომავლოდ ინვესტორებსაც დავაინტერესებთ და ტურისტებსაც. ადგილობრივებსაც მეტად გაუჩნდებათ სურვილი საოჯახო სასტუმროები გახსნან და მეურნეობებიც განავითარონ.

– საინტერესოა, დღეს თუ სარგებლობენ აქტიურად მარტვილელები სოფლის მეურნეობის პროგრამებით, რომლებსაც მათ ხელისუფლება სთავაზობს?

– დიახ, სარგებლობენ. სხვათაშორის, ბოლო წლების განმავლობაში, საკმაო ფართობის მიწების ათვისება მოხდა. მოცვის, თხილის პლანტაცია უკვე ძალიან ბევრია მუნიციპალიტეტში. შეიძლება სხვა მიმართულებების განვითარება. შესაძლებელია ხელისუფლებამ შეუწყოს ხელი, უფრო მეტად შემოსავლიანი აგრობიზნესის წარმოებას, რათა მეტი სარგებელი ნახოს მოსახლეობამ. ამის შესახებ მეტი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ მოსახლეობას და ამ მიმართულებით, აუცილებლად ვიაქტიურებ. ჩემი კიდევ ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების ხელშეწყობა იქნება. ხარისხიანი განათლება, უმნიშვნელოვანესია.

– სამეგრელო, როგორც წესი, არჩევნების დროს „პოლიტიკური ტემპერატურის“ მკვეთრი მატებით გამოირჩევა. 2 ოქტომბერს როგორ არჩევნებს ელოდებით?

- ვერ ვიტყვი, რომ მარტივი არჩევნები იქნება. მარტვილში ძალიან გონიერი ადამიანები ცხოვრობენ. აუცილებელია, ესმოდეთ შენი ენა და იმედი უნდა ჰქონდეთ. ბრტყელ-ბრტყელი დაპირებებით მარტვილელებს ვერ მოატყუებ და არჩევანს ვერ გააკეთებინებ. ოჯახი, განვლილი ცხოვრება, გაკეთებული საქმეები, პიროვნული თვისებები, წარსული ურთიერთობები მათთვის მნიშვნელოვანია იმის გადასაწყვეტად, დაგიჭირონ მხარი თუ არა.

ჩვენ გუნდს რაც გაუკეთებია, რასაც ვაკეთებთ, რაც კიდევ დაგეგმილი გვაქვს, იცის ხალხმა. რასაც ჩვენ ვთავაზობთ მოსახლეობას, იმაზე უკეთესს, სხვა ვერც ერთი ძალა ვერ სთავაზობს. ჩვენი ყველა გეგმა, მოქალაქეების ინტერესებზეა მორგებული. დაწყებული პროექტები ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და კიდევ ბევრი სიახლე შევთავაზოთ მარტვილელებს. ამის საშუალება კი, ვფიქრობ მოგვეცემა და მარტვილელები მხარს დაგვიჭერენ.

მინდა, მათ სწორი არჩევანი გააკეთონ და 2 ოქტომბერს, საარჩევნო ურნებთან მისულებმა, უალტერნატივო გუნდი და კანდიდატი შემოხაზონ. ის, ვინც მათ კეთილდღეობაზე იზრუნებს. ჩვენ ერთად, ბევრ სიკეთეს მოვუტანთ მარტვილს და მარტვილელებისადმი ჩემი მთავარი წინასაარჩევნო გზავნილიც სწორედ ესაა – დავდგეთ ერთად და ერთად ბევრი კეთილი საქმის გაკეთებას შევძლებთ!

თორნიკე ჯანაშიას ბედნიერი ოჯახი და „მომავლის მარტვილი“

თორნიკე ჯანაშიას რჩეული მარტვილელი სოფიკო გეგიაა. ერთმანეთიც აქ, მარტვილის მუნიციპალიტეტში, საერთო მეგობრების წრეში გაიცნეს. რამდენიმეწლიანი ურთიერთობის შემდეგ, ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდნენ. „ოფიციალური შეყვარებულობის“ პერიოდი მხოლოდ 1 წელს გაგრძელდა და ქორწინებით დაგვირგვინდა.

ქალბატონი სოფიო ექიმი-სტომატოლოგია, თუმცა დღეს პროფესიით არ მუშაობს. მისი „სამსახური“ 2 შვილის გაზრდაა. 6 წლის ნატალი და 5 წლის ნიკოლოზი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან. შვილებზე საუბრისას კანდიდატს თვალები უბრწყინდება და საოცარ ხასიათზე დგება. ჯერ იმას ამბობს, რომ ბავშვები ყველა ოჯახში ყოველთვის უნდა იყვნენ და შემდეგ ხუმრობს: „ორივე შვილი დეკემბერშია დაბადებული. დაოჯახების მერე, თავიდან ისე დაემთხვა, ყველა ახალ წელს ახალი ბავშვით შევხვდით. იმედია 5-6-წლისწინანდელ ტრადიციას აღვადგენთ“.

ნატალი ტანმოვარჯიშეა. ქეთი ხატიაშვილთან ვარჯიშობს და ამ ასაკში უკვე რამდენიმე მედლის მოპოვებაც მოასწრო. 5 წლის ნიკოლოზის მთავარი საფიქრალი და საქმე კი, ჯერჯერობით, ცელქობა და გართობაა. განსაკუთრებით ბედნიერი მაშინაა, როცა მათ ულამაზეს ეზოში სოფლის ბავშვები თავს იყრიან და თამაშობენ, ან – როცა მდინარე ტეხურში ჭყუმპალაობენ.

ბავშვებს მამა განსაკუთრებოთ უყვართ და უნდათ, რომ სულ სახლში იყოს. გადატვირთული გრაფიკის მქონე მამასაც გული ყოველთვის მათკენ მიუწევს.

ნადირობა და თევზაობა უყვარს, მაგრამ ამისთვის იშვიათად იცლის. თავისუფალი დრო თუ გამონახა, უმეტესად ოჯახთან ერთად გაისეირნებს. როცა ვკითხე, მოგზაურობა სად გიყვართ-მეთქი, მარტვილელი კაცი სად უნდა წავიდეო, გულწრფელად გაოცებული ტონით მიპასუხა. მერე ემოციურად და ძალიან დიდხანს მიხსნიდა, რომ მარტვილი უნიკალური ადგილი და ნამდვილი „სამოთხეა დედამიწაზე“, რომ აქ მთაცაა, ტყეც, მდინარეც, მღვიმეებიც, კანიონიც... და რომ მარტვილი შესაფერისი ადგილია იმისთვის, ფიზიკურად თუ სულიერად დაისვენო, საოცარი ბუნებით დატკბე და თავი ბედნიერად იგრძნო.

მომავლის მარტვილი მის წარმოსახვაში სწორედ ასეთია – ბედნიერი ადამიანების სამოსახლო. მერობაც იმიტომ გადაწყვიტა, მშობლიური მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილი შეიტანოს და ისეთი საქმეები გააკეთოს, რაც თითოეულ მარტვილელს გააბედნიერებს. მისი გადაწყვეტილება ოჯახის წევრებს გაუკვირდათ, მაგრამ მხარდაჭერა გამოუცხადეს, რადგან დედამაც, დედმამიშვილებმაც და მეუღლემაც, რომელიც ამავდროულად მისი მეგობარი და მესაიდუმლეცაა იციან – თორნიკე ჯანაშია ყოველთვის იქ არის, სადაც მისი ყოფნა საჭიროა!

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **მარტვილის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 38 524 531 ლარი, დაფინანსდა 91 066 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 965315,6 ლარით 222 674 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (5 213 955 ლარით 63 205 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (22 461 497 ლარით 16 158 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (5 689 732 ლარით 5 065 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 692 624 ლარით 2 765 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 737 706 ლარით 2 971 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **მარტვილის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 2 663 ბენეფიციარი (176 419 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **მუნიციპალიტეტში** 95%-დან 99.2%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **მარტვილში,** სტაციონარული მკურნალობით 107-მა (337 908 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1097-მა პაციენტმა (125 896 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მარტვილში,** ანტენატალური სერვისის მიმღებია 3697 ორსული (203 069 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 855. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **მარტვილის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 914 პირი (188 348 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **მარტვილის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **მარტვილში,** 2013-2021 წლებში, სულ 496 შემთხვევა 887 026 ლარით დაფინანსდა. **მარტვილში,** 2013-2021 წლებში, სულ 331 შემთხვევა 419 493 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **მარტვილის მუნიციპალიტეტს 44 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2020 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 114,1 ათასი ლარი შეადგინა.

2012 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტი ახორციელებს ჯანდაცვის **მუნიციპალურ პროგრამას.**

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **მარტვილის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 8226 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2.1-ჯერ – 10 469 226-დან 22 485 004 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 144 318 565 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **მარტვილში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 98 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,3-ჯერ – 123 166-დან 526 269 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 3 765 244 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **მარტვილის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 166 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2,6 – ჯერ – 1 959 ათასიდან 5 131 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 32 568 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 7011 ათასი, შშმ პირებზე – 3 474 ათასი, ბავშვებზე – 11 997 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **მარტვილში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2 360 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,2-ჯერ – 679 000-დან 4 188 005 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 26 612 394 ლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტში 2049 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 935 356-დან 1 133 955 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წ.წ. სულ დაიხარჯა 9 724 003 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **მარტვილის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 138 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 82 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 56 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) მარტვილში, დაფინანსებულია 182 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 581 000 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 304 400 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან მარტვილის მუნიციპალიტეტზე – 3 212 097 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს 2020 წელს – **მარტვილში,** ჩართული იყო 1503 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 1656. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში 2020 წელს ისარგებლა 380-მა ოჯახმა, 2021 წ. – 389-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), მარტვილში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 533 პირი, 2021 წ. – 534 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271 ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით 4,**5-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1014,7 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 226,0 ათასი ლარი იყო.

2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში განხორციელდა 9 მუნიციპალური პროგრამა. მათ შორის ახალშობილთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, შშმ 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი დახმარება, ობოლი ბავშვების ერთჯერადი დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება და სხვ.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: სერგიეთი (16 174 ლ). ონოღია (11 308 ლ), ლეხაინდრაო (37 497 ლ), ნახუნავო (1 883 ლ); სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა ქ. მარტვილში (126 899 ლ), დიდი ჭყონისა (148 461 ლ) და კიწიის (30 752 ლ) ამინისტრაციულ ერთეულებში.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. მარტვილში ფუნქციონირებს 21 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – ქ. მარტვილში, ხოლო 19 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მარტვილში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 53,5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 170,2 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 261 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: 2014 წელი – ვედიდკარისა და თამაკონის ცენტრში საბავშვო ბაღების რემონტი, აბედათის საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება, ბანძაში საბავშვო ბაღის ოთახის რემონტი, გაჭედილში საბავშვო ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპი, პირველ ნამიკოლაოში, სერგიეთსა და მეორე ბალდის ცენტრში საბავშვო ბაღების მშენებლობა, ტალერში საბავშვო ბაღის გადახურვა და კეთილმოწყობა, მეორე კიწიის საბავშვო ბაღში წყლის შეყვანა და სველი წერტილების მოწყობა, ონღიაში ბაღისთვის კერძო სახლის შეძენა, ნაგებერაოში საბავშვო ბაღის გაფართოება და რემონტი; **2015 წელი** – ონოღიის საბავშვო ბაღის შენობის რემონტი, ნახარებაოს საბავშვო ბაღში 2 ოთახის კოსმეტიკური სამუშაოები და ეზოს ატრაქციონისთვის სათამაშოების შეძენა, სალხინოს საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, ვახა, ლეგულორდავე, ჟინოთა – საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, აბედათის საბავშვო ბაღის წყლის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები, ლემიქავე და ლექაჯაიე – საბავშვო ბაღის წყლის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები, I, II, III ბალდა – ბალდის ცენტრში საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება, გაჭედილში საბავშვო ბაღის სველი წერტილების მოწყობა და ავზის მონტაჟი, პირველი ნამიკოლაო, სერგიეთი, დიდი ინჩხური, ლებაჩე, პატარა ინჩხური – საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება; **2016 წელი –** მარტვილის №1, №2, ვედიდკარის, სალხინოს, ტალერის, კურზუს, ნაჯახაოს საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები, პირველ ნამიკოლაუში საბავშვო ბაღის მშენებლობის მესამე ეტაპი, სერგიეთში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების გაგრძელება, ონღიაში საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება – პროექტებზე სულ 786,1 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს** განხორციელდება სოფელ ნაგვაზაოს საბავშვო ბაღისა და მარტვილის №2 საბავშვო ბაგა–ბაღის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები (20,7 ათასი ლარი); სოფელ ინჩხურის საბავშვო ბაღის მშენებლობა (მეორე ეტაპი) და ეზოს კეთილმოწყობა (სულ 106,3 ათასი ლარი). საბავშვო ბაღები გაიხსნა სოფელ ბალდასა და გაჭედილში, გარემონტდა ნაგვაზაოს, ტალერისა და ნახარებაოს საბავშვო ბაღები. **2018 წელს** გარემონტდა ნაგვაზაოსა და ვედიდკარის საბავშვო ბაღები, შეძენილია სათამაშოები, ჭურჭელი და ავეჯი.

2019 წელს – მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 18 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, 129,3 ათასი ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩატარდა: ქ. მარტვილის №1 და №2, ინჩხურის, კიწიის, კურზუს, ტალერის, თამაკონის, ნაგვაზაოს, ნაჯახაოს, ვედიდკარის, აბედათის, აბედათის, ჯოლევის,

გაჭედილის, ნახარებაოს, ვედიდკარის, ბალდის, სალხინოს საბავშვო ბაღებს. **2020 წელს** დასრულდა: ქ. მარტვილის №1 (150,6 ათასი ლარი) და ლეხაინდრაოს ადმინისტრაციულ ერთეულში (38,4 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები. **მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება** სოფ. ლეციცხაიეს საბავშვო ბაღის მშენებლობა (340,1 ათასი ლარი); დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, მამულის უბანში, სოფ. ონოღიასა და სოფელ ქვედა ხუნწში, 50 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღების პროექტირება/მშენებლობა (საერთო ღირებულება 7 მლნ 41 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 534-დან 859-მდე გაიზარდა. 2020 წელს 3,67 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე. გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 42 აღმზრდელ-პედაგოგი, 6 აღმზრდელი და 11 ექთანი.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 21-ვე საბავშვო ბაღის 21 ჯგუფში; პროგრამაში სულ 277 ბავშვია ჩართული. **სასკოლო მზაობის** პროგრამის განვითარებისთვის დაიწყო პროექტი **„სამოდელო ბაღი.“** მომზადდა საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტები. **2019-2020 ს/წლიდან მონიტორინგი** დაიწყო 15 საბავშვო ბაღში. სასკოლო მზაობის პროგრამა **ადაპტირდა სენსორული (სმენის, მხედველობის) დარღვევის მქონე ბავშვებისთვის.** სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულით", გადაამზადა სკოლამდელი დაწესებულებულების მეთოდისტები.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 37 საჯარო სკოლა (მათგან 2 – ქალაქში), სადაც 3750 მოსწავლე და 831 მასწავლებელია (მათგან 28 – სპეცმასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 78 სსსმ მოსწავლე. 2 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 4 მანდატური იცავს. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 6 სკოლაში (მათგან 4 – სოფლად).

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის: პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 162 მოსწავლე იყო ჩართული. 2015-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით 96 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2018 წლებში ფინანსურად ხელი 188 სასკოლო აქტივობას შეეწყო, 2017-2019 წლებში სასკოლო აქტივობების 90 პროექტი დაფინანსდა. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, მარტვილის 3 სკოლას გადაეცა 35 ლეპტოპი, ხოლო **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 2017 წელს, 9 სკოლას 49 კომპიუტერი. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** მარტვილის სკოლების აღჭურვის 33 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 47 პროექტი განხორციელდა. 2018-2019 წლებში, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით/ლოკალური უსადენო ქსელით** 4 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2013-2019 წლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 73 პროექტი განხორციელდა. 2021 წლისთვის **„ახალი სკოლის მოდელში“** ჩართულია მარტვილის 14 საჯარო სკოლა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამაში 37 საჯარო სკოლის (116 მიმართულება) 2167 მოსწავლეა ჩართული. 2017-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს, ჯამში, 1454 **სასკოლო ჟურნალი და** 105 740 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 2258 კომპიუტერი გადაეცათ, 230 – კლასის დამრიგებლებს, **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“ პროგრამით,** ლეპტოპები საჩუქრად 214 – წარჩინებულ მოსწავლეს. ამავე პერიოდში, მარტვილში, ჯამში, 243 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 40 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 19 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 8 სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში ერთი – სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლაა ჩართული.

2013 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 8 საჯარო სკოლაში, რაზეც სულ 1 მილიონ 5 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა 9 საჯარო სკოლაში, რაც სულ 377,7 ათასი ლარით დაფინანსდა; **2015 წელი** – 7 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სულ 291 ათასი ლარი დაიხარჯა, ხოლო **2016 წელს** 3 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სულ 145,3 ათასი ლარი. **2017 წელს დასრულდა:** სოფელ ნახურცილაოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სპორტდარბაზის გამაგრება, გარე სანკვანძის აშენება) – 90,5 ათასი ლარი; სოფელ ლეციცხვაიეს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სპორტდარბაზის რემონტი, ეზოში ბილიკის მოწყობა, ელექტროობა, პანდუსი) – 115,8 ათასი ლარი; **დაფინანსდა:** სოფელ გაჭედილის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 15 ათასი ლარი; კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდა ახალი დაწყებითი სკოლა (443, 6 ათასი ლარი). **2018 წელს** განხორციელდა ინჩხურის საჯარო სკოლის **რეაბილიტაცია,** რაზეც MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, 291,7 ათასი ლარი დაიხარჯა. **დაფინანსდა:** სოფელ კურზუს სკოლისთვის სხვადასხვა ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენა (15,4 ათასი ლარი), ელექტროენერგიის სიმძლავრის 50 კვტ/სთ-მდე გაზრდა (7 ათასი ლარი); სოფელ ნაგებერაოს სკოლის ელ. ენერგიის სიმძლავრის 128 კვტ-მდე გაზრდა (18 ათასი ლარი); სოფელ ინჩხურის სკოლის ელენერგიის სიმძალვრის 50 კვტ/სთ-მდე და წყალმომარაგების სიმძლავრის გაზრდა (7,6 ათასი ლარი); სოფელ ბანძის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (13,1 ათასი ლარი).

2019 წელს – მარტვილის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 19 პროექტზე, ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამში, 357,7 ათასი ლარი დაიხარჯა. სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა: ბალდის, ბანძის, გაჭედილის, გურძემის, დიდიჭყონის №1, დღვანის, ვედიდკარის, თამაკონის, ლეცავეს, ლეხაინდრაოს, პირველი ნამიკოლაოს, მეორე ნამიკოლაოს, ონოღიის, ოჩეს, სერგიეთის საჯარო სკოლებში. იმავე წელს აშენდა სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა – 2 მლნ 536,8 ათასი ლარი; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლას (MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით – ტერიტორიის კეთილმოწყობა, შემოღობვა, გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, სატუმბი სადგურის მშენებლობა) – 204,7 ათასი ლარი. დაფინანსდა: საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა – 4,5 ათასი ლარი; სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის გაზიფიცირება (შიდა და გარე ქსელების მოწყობა) – 6,3 ათასი ლარი; 2019 წელს დაიწყო და **მიმდინარეობს** სოფელ კურზუს საჯარო სკოლის დაწყებითი სკოლის სასმელი წყლით მომარაგების მიზნით ჭაბურღილების, სამარაგო რეზერვუარების და წყალმომარაგების ქსელის მოწყობის პროექტის მომზადების შესყიდვა – 3,9 ათასი ლარი.

2020 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით, სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციის 12 პროექტის განხორციელებაზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 249,8 ათასი ლარი დაიხარჯა. სველი წერტილები მოეწყო პირველი ნამიკოლაოს, დღვანას, ლეხაინდრაოს, ნოჯიხევის, სტეფას, ბანძის, ვედიდკარის, ზედა ნაგვაზაოს, ზედა ხუნწის, ნახუნაოს, ნოღას საჯარო სკოლებში. სამუშაოები სკოლების სახელმწიფო პროგრამის (ინფრასტრუქტურის სამინისტრო) ფარგლებში განხორციელდა. 2020 წლის იანვარში გაიხსნა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ნაგებერაოს საჯარო სკოლა, რაზეც 3 მლნ ლარამდე დაიხარჯა. დასრულდა სოფელ წაჩხურის, 60 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა – 1 მლნ 228,6 ათასი ლარი (მუნიციპალური განვითრების ფონდი).

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით საჯარო სკოლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფლების – სალხინოს (2 მლნ 162,4 ათასი ლარი); დოშაყეს (1 მლნ 770,1 ათასი ლარი), დიდი ჭყონის (1 მლნ 941,5 ათასი ლარი), ნაგვაზაოს (2 მლნ 378,4 ათასი ლარი); კიწიისა (2 მლნ 120,1 ათასი ლარი) და ქალაქ მარტვილის №1 (3 მლნ 337,8 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- 2021 წლის ბოლომდე ახალი საბავშვო ბაღები აშენდება: ბანძის, ხუნწის, ონოღიის, დიდი ჭყონის (2 საბავშვო ბაღი, მათგან ერთი – მამულის უბანში) ადმინისტრაციულ ერთეულებში; დაგეგმილია სოფელ ბანძაში 100 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა – 1 მლნ 700 ათასი ლარი; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება მარტვილში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: იგეგმება მარტვილის №2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია; სკოლების სახელმწიფო პროგრამის (ინფრასტრუქტურის სამინისტრო) ფარგლებში განხორციელდება მუხურჩის საჯარო სკოლის საკლასო ოთახების ჭერისა და იატაკის რეაბილიტაცია (45,3 ათასი ლარი);
- 2021-2024 წლებში ქ. მარტვილში აშენდება, 70-100 სტუდენტზე გათვლილი, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რაზეც 5 მლნ ლარი დაიხარჯება; მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა კერძო სექტორის დაინტერესებისა და დასაქმების პერსპექტივების არსებობას ეფუძნება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მარტვილის ცენტრალური ბიბლიოთეკა, სასოფლო ბიბლიოთეკები და საბავშვო ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი (ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები – „კოლხიდა,“ „სამა“, „ჭყონდიდი“).

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 578,4 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 420 ათასი ლარი იყო.

2014-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართება სახალხო დღესასწაულები – „წაჩხურობა“ , „ალერტობა“, „თამარობა“, „დავითობა“, „ჭყონდიდობა“, სოფელ ძველ აბაშაში – „კონსტანტინეობა“, ტარდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ბავშვთა და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ლიტერატურული საღამოები და კონფერენციები, ადგილობრივ მხატვართა გამოფენები, თემატური ლექცია-სემინარები და სხვ.

2019 წელს – გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გალერეაში მოეწყო ხუნწის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, 2019 წელს, მოპოვებული მასალის გამოფენა-დათვალიერება; მუზეუმმა გამოსცა გივი ელიავას 2 გამოუქვეყნებელი ნაშრომი – „წყარო უშრეტი” და „ნამდვილი წალკოტი”, ასევე, გამოვიდა მუზეუმის ბუკლეტი და კალენდარი. საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა მარტვილელი ახალგაზრდა შემოქმედის გიორგი ხულორდავას წიგნის პრეზენტაცია „ცვალებადობა“; ანსამბლმა „კოლხიდა“ მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში – „ქორეოგრაფიული ფოლკლორი–ისტორია და თანამედროვეობა“, გაიმართა საქართველოს დამსახურებული არტისტის, სენაკის საპატიო მოქალაქის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალ–კონკურსი „კუჩხი ბედინერი – 2019”; ჩატარდა ახალგაზრდა შემოქმედთა ფესტივალი – „ოქროს ვარსკვლავი” მარტვილი-2019; ქ. ქობულეთში გამართულ რიგით მე-15 სიმღერისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტიცვალ-კონკურსში „ზღვის ჰარმონია – 2019“ ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი“ პირველი ადგილი დაიმსახურა; ქ. ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში – მზიანი საქართველო” ქორეოგრაფიული ანსამბლის „სალხინო” წევრები სპეციალური პრიზებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. იმავე წლის ივნისში ანსამბლი „კოლხიდა“ იმყოფებოდა ბულგარეთში, ქ. ვარნაში, სადაც მონაწილეობა მიიღო მერვე საერთაშორისო ბავშვთა და ახალგაზრდულ ფესტივალ–კონკურსში „ნათელი ხელოვნება და ზღვა“ – უმცროსი თაობის „კოლხიდელებმა“ კონკურსის უმაღლესი ჯილდო (გრანპრი) მოიპოვეს; ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ასოციაცია „ჯადოსნური ხმების“ და ანსამბლ „ივერიას“ საიუბილეო, 50-ე წელთან დაკავშირებული კონცერტი, კულტურის სახლმა

უმასპინძლა საქართველოს სახალხო არტისტის, ვაჟა აზარაშვილის დაბადებიდან 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობიდან 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოსდა სხვ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, 2019-2020 წლებში, განახორციელა პროექტები: სოფელ ხუნწში მდებარე ციხის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები და არქეოლოგია. სამინისტროს ხელშეწყობით, რეგიონებში კულტურის ხელშეწყობის მიზნით, მარტვილის მუნიციპალიტეტში ტარდება კამერული მუსიკის ფესტივალი „სალხინოს კამერატა“.

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: 2014 წელს, კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზს (13,4 ათასი ლარი); **2015 წელს** მარტვილის მუნიციპალიტეტის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციას 56,2 ათასი ლარი მოხმარდა. **განხორციელდა:** მარტვილის კულტურის სახლში არსებული საბავშვო ბიბლიოთეკის სანკვანძის მოწყობის სამუშაოები, ზედა ნაგვაზაოში კულტურის სახლის ეზოს გასუფთავება-მოწესრიგება, ეზოს გამდინარე ღელეს ამოწმენდა და ბაგა-ბაღისთვის ეზოს შეღობვა-მოწყობა, სალხინოში კულტურის სახლის ეზოს შეღობვა, ზედა ნაგვაზაოში კულტურის სახლის ეზოში მემორიალისა და განათების მოწყობა, სალხინოში კულტურის სახლის ეზოს შეღობვის II ეტაპი, მარტვილის ბიბლიოთეკის შენობის ფასადი, ფანჯრებისა და საცავი ოთახის სარემონტო სამუშაოები, ბანძაში სახლ-მუზეუმის რემონტი, რაზეც სულ 109,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

2019-2020 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. მარტვილის ცენტრალურ ბიბლიოთეკას;

ცენტრალურ პარკში დაიდგა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ბიუსტები;

გაიხსნა აფხაზეთისა და 8 აგვისტოს ომებში დაღუპულთა მემორიალები; ასევე გაიხსნა, სოფელ სალხინოში 1952 წელს ავტოავარიის შედეგად დაღუპული ბანძის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების მემორიალური დაფა.

იმავე წლებში, სოფელ ზემო ნაგვაზაოს კულტურის სახლის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციაზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 11,7 ათასი ლარი დაიხარჯა.

ამჟამად მიმდინარეობს: შინმოუსვლელთა მემორიალის სრული რეაბილიტაცია; მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია; ხუნწის ციხის არქეოლოგიური სამუშაოები.

მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შემდეგი პროექტები განახორციელა: მარტვილის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია – დაზიანებული გალავნის აღდგენა (5 ათასი ლარი), ნოღას ციხის რეაბილიტაცია (72 ათასი ლარი), ხუნწის ციხე – არქეოლოგიური სამუშაოები (30 ათასი ლარი); სამუშაოები ხუნწის ციხეზე გრძელდება – 2017-2018 წლებში, არქეოლოგიური გათხრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 38, 1 ათასი ლარით დაფინანსდა.

2019-2021 წლებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სალხინოს კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე (სცენის იატაკის რეაბილიტაცია და ღობის შეღებვა) 10,3 ათასი ლარი დაიხარჯა; დიდიჭყონის კულტურის სახლის რეაბილიტაციას კი (ეზოში არტეზიული ჭის და სველი წერტილების მოწყობა) 13,1 ათასი ლარი მოხმარდა.

2019 წლის 16 აპრილს, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და „ანიმაციის განვითარების ფონდის” ორგანიზებით, გაიმართა ანიმაციური ფილმების მე–11 საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი”. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო: ვორქშოფები, მასტერკლასები. იმავე წლის 27-29 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი **„სალხინოს სასახლის კამერატა”.**

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის მარტვილის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი – „მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“ (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19,7 ათასი ლარი).

2020 წელს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ჩატარდა სოფელ ხუნწში მდებარე ციხის გაწმენდითი სამუშაოები (33,9 ათასი ლარი).

მარტვილის მუნიციპალიტეტს ფარავს კულტურული მარშრუტები – **„ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ“ და „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“.** აღნიშნული მარშრუტები ხელს უწყობენ ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მარტვილის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ მარტვილის კომპლექსური სასპორტო სკოლა და ა(ა)იპ მარტვილის საფეხბურთო სკოლა.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 527,5 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 325,2 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: მძლეოსნობა, ჭადრაკი, ძიუდო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კიკბოქსინგი, უშუ-სანდა, ტანვარჯიში, ტაეკვონდო, ლელო, რაგბი, კრივი, მაგიდის ჩოგბურთი, ძალოსნობა, ჯომარდობა და ფრენბურთი, ტანვარჯიში, შაში, ჩოგბურთი, ხელბურთი. აღსანიშნავია, რომ ფრენბურთი და კრივი მოსახლეობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში

განვითარების მაღალ ნიშნულს მიაღწია საბავშვო ფეხბურთმა (ფუნქციონირებს საფეხბურთო სკოლა-აკადემია); ასევე წარმატებულია სპორტის ისეთი სახეობები, როგორებიცაა: ტაეკვონდო; უშუ–სანდა; კიკბოქსინგი.

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია: UEFA – მასობრივი დღისადმი მიძღვნილი ჩემპიონატი; მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის გამართული ჩემპიონატები; საქართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების ჩემპიონატებში მონაწილეობის მხარდამჭერი ღონისძიებები; საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო ტურნირებში მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მხარდაჭერი ღონისძიებები. **აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები**: ფეხბურთი – გუნდ „სალხინოს" მონაწილეობა რეგიონულ ლიგაში (III-ადგილი), U-15-ის გუნდის მონაწილეობა ჭაბუკთა ლიგაში (დასავლეთ ზონაში – I ადგილი), U-14-ის გუნდის მონაწილეობა რეგიონულ გათამაშებაში (ჩემპიონი), U-13-ის გუნდის მონაწილეობა რეგიონულ გათამაშებაში (III ადგილი), U-10-ის გუნდის მონაწილეობა რეგიონულ გათამაშებაში (II ადგილი); მძლეოსნობა – ორი ოქროს მედალოსანი სამმაგ ხტომაში, ორი ოქროს მედალოსანი სიგრძეზე ხტომაში, ერთი ოქროს მედალოსანი გეზრბენში; ჭადრაკი – საქართველოს ჩემპიონატი – მეორე ადგილი 8-12 წწ. ასაკში; ძიუდო – საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი – ერთი მეორე ადგილი, ორი მესამე ადგილი; ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – სამეგრელოს რეგიონის ჩემპიონატის ორი გამარჯვებული 85 კგ. წონით კატეგორიაში; კიკბოქსინგი – ევროპის ჩემპიონატი – მეორე ადგილი; უშუ – სანდა – საერთაშორისო ტურნირების ოთხი გამარჯვებული, საქართველოს ჩემპიონატის სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და რვა ბრინჯაოს მედალოსანი; ტანვარჯიში – იმერეთის ღია ჩემპიონატი – ხუთი მესამე ადგილი; ტაეკვონდო – საერთაშორისო ტურნირის ერთი ოქროს მედალოსანი, საქართველოს სამი ჩემპიონი, ოთხი მეორე და ხუთი მესამე ადგილოსანი და სხვ.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2014 წელს ქ. მარტვილის სტადიონის რეაბილიტაცია – 621 ათასი ლარი. მარტვილში მინისტადიონის რეაბილიტაცია (43,8 ათასი ლარი); სტეფასდაბალში სპორტული გასართობი ცენტრის მოწყობა (10,5 ათასი ლარი); ლეხაინდრაოს მინისტადიონის რეაბილიტაცია (33 ათასი ლარი); სალხინოს სტადიონზე სანკვანძის მოწყობა (4 ათასი ლარი); თამაკონში, ლეგოროზე-ლეკვაშილავეს უბანში, სპორტმოედნის შესაღობი მავთულბადის შეძენა (2 ათასი ლარი); სერგიეთის ცენტრალურ სტადიონზე სანკვანძისა და სათადარიგო სკამების მოწყობა, ნაწილობრივი შეღობვა (7 ათასი ლარი); ალერტის სტადიონის კეთილმოწყობა (7,9 ათასი ლარი); ნახუნაოში მინისტადიონის მოწყობა (13,3 ათასი ლარი); მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია (621 ათასი ლარი); საელიაოში, კ. ბართიას ქუჩაზე, მინიმოედნის განათების მოწყობა (2,5 ათასი ლარი); ლეპატარეში მინიმოედნის ტერიტორიაზე მარტივი ტიპის გასართობი ცენტრის მოწყობა (6 ათასი ლარი); ნახარებაოს სტადიონის შეღობვა (3,6 ათასი ლარი); ბანძაში ცენტრალური სტადიონის ღობის რეაბილიტაცია (6 ათასი ლარი); ნოღაში, ბარამიების უბანში ფრენბურთის სტადიონის მოწყობა (2,8 ათასი ლარი); ალერტში სტადიონის შეღობვა (2,3 ათასი ლარი); ნაჯახაოში მინისტადიონის განათების მოწყობა (1,3 ათასი ლარი) და სოფლის ცენტრში სტადიონის შეღობვა (5,4 ათასი ლარი); სოფ. მარტვილში სპორტდარბაზის ოთახის რეაბილიტაცია (12,5 ათასი ლარი); ნაგვაზაოში მინისაფეხბურთო მოედნის მოწყობა (13 ათასი ლარი); ჭაბურთაში ცენტრალური საფეხბურთო მოედნის შეღობვა (7,1 ათასი ლარი); სერგიეთში საფეხბურთო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია (176,8 ათასი ლარი); მამულში სტადიონის შეღობვა (1,6 ათასი ლარი); კურზუში ცენტრის უბანში სტადიონზე გასახდელის მშენებლობა (8,7 ათასი ლარი); ზედა ხუნწში საფეხბურთო სტადიონის ნაწილობრივი შეღობვა (1,2 ათასი ლარი); ბობოთში, ესულავეს უბანში, მინისტადიონზე გარეგანათების მოწყობა (0,7 ათასი ლარი); ნაჯახაოს თემის ცენტრში, სტადიონის ეზოში ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნის რეაბილიტაცია, გარეგანათების მოწყობა (2,6 ათასი ლარი); ნაჯახაოში, ე.წ. კვეკვეციების უბანში მინისტადიონის გარეგანათების მოწყობა (1,4 ათასი ლარი); ახალგაზრდული გასართობი ცენტრები მოეწყო პირველ გურძემსა (11 ათასი ლარი) და მეორე გურძემში (6,8 ათასი ლარი); **2017 წელს** ქ. მარტვილში ქუჩის სავარჯიშო მოწობილობა (ტურნიკი) დაიდგა (14, 3 ათასი ლარი).

2015-2017 წლებში, სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, აშენდა მარტვილის საფეხბურთო სკოლის საწვრთნელი ბაზა (1 მლნ 244,3 ათასი ლარი), განხორციელდა საფეხბურთო სკოლის რეკონსტრუქცია (2016 წ. – 714,4 ათასი ლარი). ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს „დინამოს აკადემია". **2018 წელს** საფეხბურთო სკოლის საწვრთნელ ბაზაზე გაიხსნა ხელოვნურსაფარიანი მოედანი, რომლის მშენებლობაზეც 1 მლნ 230, 8 ათასი ლარი დაიხარჯა.

2018-2019 წლებში განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: მარტვილის კომპლექსური სასპორტო სკოლის რეაბილიტაცია, მინისტადიონთან გარეგანათების მოწყობა ნაგვაზაოში (ლეკვანტალიანეს უბანში), სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, მინისტადიონის რეაბილიტაცია კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში (სანაჭყებისა და კურზუს ცენტრში), ფრენბურთის სტადიონის რეაბილიტაცია იწიის ადმინისტრაციული ერთეულში (ჯამში, 27,7 ათასი ლარი). **2019 წელს** სტადიონი მოეწყო დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში (35,1 ათასი ლარი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, განხორციელდა სტადიონების სარეაბილიტაციო სამუშაოები: კურზუს (7,6 ათასი ლარი); სერგიეთის (5,8 ათასი ლარი); დიდიჭყონის (7 ათასი ლარი) ადმინისტრაციულ ერთეულებში. **2020 წელს** დასრულდა სტადიონის მოწყობის სამუშაოები ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, რაზეც 67,7 ათასი ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ვედიდკარისა და ბანძის მინისტადიონებს (7,7 ათასი ლარი), კალათბურთის მოედანი მოეწყო ონოღიის ადმინისტრაციულ ერთეულში (15,7 ათასი ლარი); დასრულებულია სოფელ კურზუს ცენტრში არსებულ სტადიონზე გასახდელის მშენებლობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, გარესავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდა ნაჯახაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ობამბეს უბანში არსებულ მინისტადიონზე (8,1 ათასი ლარი), ასევე, ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ლეპატარავეში არსებულ სკვერში დაიდგა ტრენაჟორების და მოეწყო მაგიდის ჩოგბურთი (6,4 ათასი ლარი), ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ქვემო ნაგვაზაოში სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში დამონტაჟდა სპორტული ინვენტარი (15,2 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა **სამინისტროსთან** შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს. 2017 წელს სამინისტრომ მარტვილის მუნიციპალიტეტში ქუჩის ერთი სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (14,8 ათასი ლარი), შეიძინა სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი (10,6 ათასი ლარი). სამინისტროს მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე -„სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის".

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „ინკლუზიური გამოფენა, კონცერტი, მარტვილი" (60 მონაწილე); „საქართველოს თასი ლაშქრობაში" (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები: „მარტვილის ჯანსაღი ცხოვრება" და „სპორტული მარტვილი 2014", რომელთა მიზანი მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდების პოპულარიზაცია იყო (სულ 26,4 ათასი ლარი).

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მარტვილის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- იგეგმება ქართული პურის ფესტივალის ჩატარება;
- გაგრძელდება კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია (60 ათასი ლარი);
- გაგრძელდება ხუნწის ციხის არქეოლოგიური სამუშაოები; გაიმართება ანიმაციური ფილმების ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი";
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- მოეწყობა რეგიონული ჩემპიონატი ცხენოსნობაში;
- იგეგმება საგანმანათლებლო-სახალისო პროექტი ახალგაზრდებისთვის – „პალეო-ნეო", რომელიც ახალგაზრდებს გააცნობს მარტვილში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფელ ონოღიაში რეაბილიტაცია ჩაუტარდება კალათბურთის მოედანს, ქვედა ნაგვაზაოში მოეწყობა ღია ტიპის სპორტული მოედანი, ვედიდკარში რეაბილიტაცია ჩაუტარდება სტადიონს;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ამაღელვებელია, როდესაც აცნობიერებ, რომ გაქვს შანსი, მშობლიურ მხარეზე, კარგად ნაცნობ და საყვარელ ადამიანებზე იზრუნო. ამ შესაძლებლობისთვის, მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს.

2017 წლიდან, მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გავხდი, საკუთარი თვალით ვხედავ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა, თუმცა ვიცი, რომ ეს არ კმარა, რადგან ჩვენი მოსახლეობა ჯერ კიდევ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას.

გპირდებით, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, როგორც მე, ისე ჩემი გუნდის თითოეული წევრი, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ თქვენს წინაშე არსებული პრობლემები მოვაგვაროთ.

ამასთანავე, ჩვენი მიზანია, მარტვილის მუნიციპალიტეტი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ, სრულად ავითვისოთ ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალი, მოვაწყოთ საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურა, ხელი შევუწყოთ მცირე მეწარმეებს, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სახელმწიფო პროგრამები, ჩვენი ქალაქი და სოფლები კი უფრო მეტად გავამწვანოთ და გავალამაზოთ.

ამ დიდ ბრძოლაში თითოეული თქვენგანის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მჯერა, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.